



საქართველოს საერთო სასამართლოების
მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგია
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

№ 1/01-2020წ

09 ნოემბერი 2020 წელი

საქართველოს საერთო სასამართლოების
მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიამ

შემდეგი შემადგენლობით:

თავმჯდომარე - ამირან ძაბუნძე

წევრები: გიორგი გოგინაშვილი; მერაბ ლომიძე, იოსებ ვარძელაშვილი

მიღვანი - თამარ გაგუა

მხარეები:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

წარმომადგენლები: ლევან ნემსაძე, ონისე მეტრეველი;

--- ---- სასამართლოს მოსამართლე ;

დახურულ სხდომაზე განიხილა დისციპლინური საქმე ---- სასამართლოს მოსამართლის --
- ---- მიმართ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 9 სექტემბრის N---- დადგენილებით,
----ის 2018 წლის 13 მარტის N--- საჩივრის საფუძველზე, დისციპლინური საქმის წინასწარი
შემოწმების შედეგად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის
75⁵-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75⁶-ე მუხლის თანახმად, ----
სასამართლოს მოსამართლის ---- მიეცა დისციპლინურ პასუხისგებაში, რომლის საფუძველი
გახდა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის
მე-8 პუნქტის „ვ.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომა -
მოსამართლის მიერ სხვა მოსამართლისთვის, სასამართლოს აპარატის თანამშრომლის ან
სასამართლო პროცესის მონაწილის მიმართ აშკარა უპატივცემულობის გამოხატვა;

მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემას საფუძველად დაედო შემდეგი
გარემოებები:

---- ----ის 2018 წლის 13 მარტის №---- საჩივრის საფუძველზე საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე ---- მიმართ დაიწყო
დისციპლინური სამართალწარმოება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2018 წლის 21 ივნისის №---- დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს განსახილველად წარედგინა 2019 წლის 11 მარტის სადისციპლინო სხდომაზე.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, 2019 წლის 11 მარტს მიიღო გადაწყვეტილება, მოსამართლე ----- მიმართ დისციპლინური დევნის დაწყებისა და ახსნა-განმარტების ჩამორთმევის თაობაზე.

მოსამართლე ----- ახსნა-განმარტება საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში წარადგინა 2019 წლის 4 აპრილს.

საჩივრის ავტორი აღნიშნავდა, რომ 2017 წლის 16 ოქტომბერს, მოსამართლე ----- განიხილავდა მისი დაცვის ქვეშ მყოფის ბრალდებულ -----ის სისხლის სამართლის საქმეს. -----ის განცხადებით, სასამართლო სხდომის მიმდინარეობის პროცესში, მოსამართლე ხშირად არღვევდა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპს. ამასთან, მოსამართლე დაცვის მხარის მიმართ გამოიჩინა განსაკუთრებული აგრესიით და მხარეს ხშირად მიმართავდა ხმამაღალი ტონით.

ამასთან, საჩივრის ავტორი მიუთითებდა 2018 წლის 18 იანვრის სასამართლო სხდომაზე და აღნიშნავდა, რომ მოსამართლემ აღნიშნული პროცესის მიმდინარეობისას მოწმეს ----- შეაწყვეტინა ჩვენების მიცემა და მოწმის ჩვენების მიმართ მოსამართლემ წინასწარ დააფიქსირა საკუთარი შეხედულება.

საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ -----ის მიმართ არსებული სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვა დაიწყო 2017 წლის 16 ნოემბერს.

სასამართლო სხდომის ოქმის აუდიო ჩანაწერის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ 2017 წლის 16 ნოემბრის სასამართლო სხდომაზე, სასამართლომ განიხილა მხოლოდ სასამართლოს შემადგენლობის და პროცესის მონაწილეთა აცხადების საკითხები. სასამართლო პროცესი ჩატარდა მშვიდ გარემოში. მხარეებს ეძლეოდათ თანაბარი შესაძლებლობები გამოეხატათ საკუთარი პოზიციები და ესარგებლათ მხარეთა საპროცესო უფლებებით.

2018 წლის 18 იანვრის სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაიკითხნენ -----, -----, ----- და -----. იმის გათვალისწინებით, რომ მოწმე ----- პროცესზე განაცხადა, რომ იგი სისტემატიურად ესწრებოდა ბრალდებულ -----ის საქმის განხილვის პროცესებს, მოსამართლემ სასამართლო სხდომაზე მისი ჩვენება არ მოისმინა.

სასამართლო სხდომის ოქმის აუდიო ჩანაწერის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ მოწმე -- ---- პროცესში, ადვოკატ -----ის კითხვებიდან გამომდინარე, მოწმე ----- საუბრობდა ბრალდებულის პირად ცხოვრებასთან დაკავშირებით.

აღნიშნულის საფუძველზე, მოსამართლე ----- საკუთარი ინიციატივით შეაჩერა მოწმის დაკითხვის პროცესი და ადვოკატ -----ს მოსთხოვა სასამართლოსთვის განემარტა, თუ რა კავშირში იყო მის მიერ ბრალდებულის პირად ცხოვრებასთან დასმული შეკითხვები. მოსამართლე ----- დაცვის მხარეს განუმარტა, რომ სასამართლო განიხილავდა საქართველოს სსკ 260-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთან დაკავშირებულ

სისხლის სამართლის საქმეს და დაცვის მხარეს სთხოვა, რომ კითხვები დაესვა აღნიშნული მიმართულებით.

ამასთან, მოსამართლემ საჯაროდ გამოხატა მოსაზრება, რომ ადვოკატ --- შესაძლოა წინასწარ ჰყავდა დარიგებული მოწმე მისთვის სასურველი პასუხების მისაღებად.

----- სასამართლოს 2018 წლის 1 მარტის განაჩენით ბრალდებული --- ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის და სასჯელის სახით განესაზღვრა 08 (რვა) წლით თავისუფლების აღკვეთა.

საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის სხდომაზე დისციპლინური საქმის განხილვისას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლებმა სრულად დაუჭირეს მხარი დისციპლინურ ბრალდებას.

საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის სხდომაზე მოსამართლე ----- აღნიშნა, რომ საქმის არსებითი განხილვა განხორციელდა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპის დაცვით. კერძოდ, 2018 წლის 18 იანვარს, მისი მხრიდან განხორციელებული ქმედებების მიზანი იყო არა მხარეთა თანასწორობის პრინციპის დარღვევა, არამედ იმ პირობებში, როდესაც ბრალდების მხარე ავლენდა ინდიფერენტულ დამოკიდებულებას და სამწუხაროდ არ იყო ჩართული პროცესში, მისი ამ დამოკიდებულებით კი, ხელს უწყობდა ადვოკატის თვითნებურ ქცევას არარელევანტურად ესაუბრა მოწმის პირად ცხოვრებაზე, როგორც გამონაკლისი ჩართულიყო დაკითხვის პროცესში.

მოსამართლე განმარტავს, რომ მისთვის, როგორც მოსამართლისთვის, პრიორიტეტულია თითოეულ მოქალაქეს ჰქოდეს განცდა, რომ მისი პირადი ცხოვრება არ გახდება არარელევანტური განსჯის საგანი საჯარო სასამართლო სხდომაზე და რომ 2018 წლის 18 იანვარს, მისი მხრიდან განხორციელებული ქმედება იყო ინტერვენცია რაც არ არღვევს მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპს.

საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიამ განიხილა დისციპლინური საქმე, შეისწავლა აღნიშნული საქმის მასალები, მოუსმინა დისციპლინური ბრალდების მხარეს, დისციპლინარულ პასუხისმგებაში მიცემულ პირს და დადგინდა სცნო დისციპლინური ბრალდების ფაქტობრივი მხარე და მიიჩნია, რომ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სამართლებრივი ხასიათის გარემოებები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75³⁹-ე მუხლის თანახმად, სადისციპლინო კოლეგია ადგენს, ჩაიდინა თუ არა მოსამართლემ ქმედება, რომლისთვისაც მას წარედგინა დისციპლინური ბრალდება, და ამ კანონის შესაბამისად არის თუ არა ეს ქმედება დისციპლინური გადაცდომა, სადისციპლინო კოლეგია ასევე ადგენს, მიუძღვის თუ არა მოსამართლეს ბრალი დისციპლინური გადაცდომის ჩადენაში. მხოლოდ სამივე ამ გარემოების არსებობისას არის დისციპლინური კოლეგია უფლებამოსილი, მიიღოს გადაწყვეტილება მოსამართლის ბრალეულად ცნობისა და მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობისა და სახდელის დაკისრების შესახებ. სადისციპლინო კოლეგია

უფლებამოსილია შეცვალოს მოსამართლის ქმედების კვალიფიკაცია ამ კანონის 75¹-ე მუხლით გათვალისწინებული ნებისმიერი სახის დისციპლინური გადაცდომით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს წარმოადგენს დისციპლინური გადაცდომის ჩადენაში მოსამართლის ბრალეულობის დადგენის სავალდებულობა. თავის მხრივ, ბრალეულობის დასადგენად მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ყველა ის ობიექტური გარემოება, რამაც დისციპლინურ გადაცდომად შერაცხული კონკრეტული ქმედების ჩადენა განაპირობა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹-ე მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს - მოსამართლის მიერ სხვა მოსამართლის, სასამართლო აპარატის თანამშრომლის ან სასამართლო პროცესის მონაწილის მიმართ აშკარა უპატივცემულობის გამოხატვა.

იმისთვის, რომ სრულყოფილად შეფასდეს გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები შეიცავენ თუ არა მოსამართლის მიერ შესაბამისი პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, აუცილებელია განისაზღვროს თავისი არსით რას წარმოადგენს მოსამართლის მიერ სხვა მოსამართლის, სასამართლო აპარატის თანამშრომლის ან სასამართლო პროცესის მონაწილის მიმართ აშკარა უპატივცემულობის გამოხატვა.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის თანახმად, მოსამართლეს დისციპლინური პასუხისმგებლობა (სახდელი) დაეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ თავით დადგენილი წესით განხორციელებული დისციპლინური სამართალწარმოების შედეგად დადგინდება მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენა.

ამდენად, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, უნდა შეფასდეს გვაქვს თუ არა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი.

ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) 2002 წლის №3 დასკვნაში აღნიშნულია, რომ სამოსამართლო დავების გადაწყვეტის არსებული მეთოდები ყოველთვის ნდობას უნდა იმსახურებდეს. უფლებამოსილებანი, რომლებითაც მოსამართლეები არიან აღჭურვილნი, უშუალოდ დაკავშირებულია ისეთ ღირებულებებთან, როგორცაა სამართლიანობა, ჭეშმარიტება და თავისუფლება. მოსამართლეების მიმართ გამოყენებული ქცევის სტანდარტები გამომდინარეობს ამ ღირებულებებიდან და მართლმსაჯულების განხორციელების საფუძველს წარმოადგენს (§8). ამასთან, საზოგადოებრივი ნდობა და პატივისცემა სასამართლო ხელისუფლებისადმი, სასამართლო სისტემის მუშაობის ეფექტიანობის გარანტიებს წარმოადგენს, ცალსახად ნათელია, რომ სამოსამართლო ქცევა პროფესიულ სფეროში საზოგადოების წევრების მიერ განიხილება, როგორც სასამართლოების მიმართ ნდობის განუყოფელი ნაწილი.

საერთაშორისო დისციპლინური პრაქტიკა აჩვენებს, რომ მხარის მიერ მოსამართლის პროვოცირება შესაძლებელია იყოს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი, თუმცა არა გამომრიცხავი გარემოება (იხილეთ აშშ-ს დისციპლინური პრაქტიკიდან საქმე Michael J. Donohue; აშშ-ს მეცხრე ოლქის სააპელაციო სასამართლოს 1991 წლის გადაწყვეტილება საქმეზე Pau V. Yosemite Park & Curry Company, სადაც მოსამართლემ ადვოკატის მიმართ: „მე არ მგონია თუ მომიწევდა თქვენთვის სამართლის ლექციის ჩატარება“; დისციპლინური საქმე Bruce Van Voorhis, სადაც მოსამართლემ ნაფიცი მსაჯულების თვალწინ ნეგატიურად შეაფასა დამცველის საუნივერსიტეტო განათლება). ყველა მოცემულ შემთხვევაში, მოსამართლის ქმედება შეფასდა როგორც უპატივცემულობის გამოხატულება პროცესში მონაწილე მხარეების მიმართ.

აქედან გამომდინარე, მოსამართლეებმა უნდა შეასრულონ თავიანთი მოვალეობები რაიმე სახის უპირატესობის, მიკერძოების ან წინასწარ შექმნილი განწყობის გარეშე, გადაწყვეტილების მიღებისას, მათ არ უნდა გაითვალისწინონ რაიმე, რაც სამართლის ნორმების გამოყენების ფარგლებს სცდება. საქმის განხილვისას ან თუ მათ საქმის განხილვა დაევალოთ, მათ შეგნებულად არ უნდა მისცენ თავს უფლება გააკეთონ რაიმე კომენტარი, რომელიც საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას მიკერძოების რაიმე ვარაუდსაც კი გამოიწვევს ან შეიძლება გავლენა იქონიოს საქმის სამართლიან განხილვაზე. მოსამართლეებმა პატივისცემა უნდა გამოიჩინონ საქმის მონაწილე ყველა პირისადმი (მაგ. საქმის მხარეები, მოწმეები, ადვოკატი) რაიმე სახის განსხვავების გარეშე, რომელიც კანონს არ ეფუძნება ან შეუთავსებელია სამოსამართლო ფუნქციების ჯეროვნად შესრულებასთან. თავიანთი მოვალეობების შესრულებისას, მოსამართლეებმა უნდა იმოქმედონ ისე, რომ მათი პროფესიული კომპეტენტურობა თვალსაჩინო იყოს.¹

საქართველოს სამოსამართლო ეთიკის წესების მე-8 მუხლის თანახმად, მოსამართლე ვალდებულია მასზე დაკისრებული მოვალეობები განახორციელოს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და სათანადო გულისხმიერებით. ხოლო მე-10 მუხლის შესაბამისად, მოსამართლე ვალდებულია უზრუნველყოს პროცესის მონაწილეთა კანონის წინაშე თანასწორობა.

აღნიშნულთან მიმართებაში აგრეთვე მნიშვნელოვანია ბანგალორის პრინციპები, რომლის თანახმად, სასამართლოს წინაშე ყველას მიმართ თანასწორ მოპყრობის უზრუნველყოფას არსებითი მნიშვნელობა აქვს სასამართლო უფლებამოსილების განხორციელებისას. სამოსამართლო ფუნქციების განხორციელებისას მოსამართლემ თავისი სიტყვებით ან ქცევით არ უნდა გამოავლინოს გადახრა ან წინასწარი განწყობა ვინმე პიროვნების ან ჯგუფის მიერ ირელევანტური საფუძვლის გამო (5.2).

მხარეთა შორის თანასწორობის უზრუნველყოფის აუცილებლობა ასევე გარანტირებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი მუხლებით. კერძოდ:

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე. ამავე კოდექსის 25-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო ვალდებულია მხარეებს თავიანთი

¹ იხ. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დასკვნა №3 (2002)

უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად შეუქმნას თანაბარი შესაძლებლობები ისე, რომ არც ერთ მათგანს არ მიანიჭოს უპირატესობა. ხოლო სსკ 115-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დაკითხვის დაწყებისთანავე მოწვევის ინიციატორმა მხარემ მოწმეს უნდა შესთავაზოს, თქვას ყველაფერი, რაც იცის საქმესთან დაკავშირებით. პასუხის გაცემისას მისი შეწყვეტინება დაუშვებელია, მაგრამ თუ დასაკითხი პირი საუბრობს იმ გარემოებებზე, რომლებიც ამკარად არ ეხება საქმეს, მოსამართლეს მხარის შუამდგომლობით შეუძლია მისი შეჩერება.

განსახილველ შემთხვევაში 2018 წლის 18 იანვრის სასამართლო სხდომის ოქმის დეტალური შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ მოსამართლემ საკუთარი ინიციატივით, ისე რომ მხარეს არ დაუყენებია კითხვის განრიდების შუამდგომლობა, შეაჩერა მოწმის ---- დაკითხვის პროცესი და ადვოკატ ----ს მოსთხოვა განემარტა სასამართლოსთვის მოწმისთვის დასმული შეკითხვების მნიშვნელობა, რითაც მოსამართლემ დაარღვია შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპი.

ამასთან, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მოსამართლემ სასამართლო სხდომის მიმდინარეობისას საჯაროდ გააკრიტიკა ადვოკატის ----ის დაცვის სტრატეგია, რაც გამოიხატა მოსამართლის მიერ ადვოკატისთვის მის მიერ დასმულ კითხვებთან დაკავშირებით განმარტების მოთხოვნით და მოსამართლის მიერ აზრის საჯაროდ დაფიქსირებით, რომ შესაძლოა ადვოკატს მოწმე წინასწარ ჰყავდა მომზადებული მისთვის სასურველი კითხვა-პასუხისთვის.

ამასთან, ბანგალორის პრინციპების 6.6 პუნქტის თანახმად მოსამართლემ უნდა შეინარჩუნოს წესრიგი და ეტიკეტი სასამართლოში მიმდინარე ყველა სხდომაზე, იყოს მომთმენი, ღირსეული და თავაზიანი მხარეების, მსაჯულთა, მოწმეების, ადვოკატების და სხვათა მიმართ, რომელთანაც უწევს ურთიერთობა ოფიციალური სტატუსით. მოსამართლემ მსგავსი ქცევა უნდა მოსთხოვოს მხარეთა წარმომადგენლებს, სასამართლო პერსონალს და სხვებს, რომლებიც ექვემდებარებიან მოსამართლის ზეგავლენას, ხელმძღვანელობას ან კონტროლს.

მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპებისა და კომენტარების თანახმად მოსამართლე უნდა ცდილობდეს, ისე მოიქცეს, რომ მისი ქცევა ნებისმიერ გარემო და მკვირვებელს განუმტკიცებდეს მისი მიუკერძოებლობის რწმენას. მან თავი უნდა შეიკავოს შენიშვნებისაგან, გამოთქმების, შესტებისა თუ ქცევისაგან, რომლებიც შეიძლება მიღებულ იქნეს როგორც გულგრილობა ან უპატივცემულობა. ეს ეხება საქმესთან დაუკავშირებელ უპატივცემულო კომენტარებს, რომლებიც ნაკარნახევია რასობრივი, კულტურული გენდერული ან სხვა სტერეოტიპებით, ასევე ნებისმიერი სხვა მოქმედებისა თუ ქცევისაგან, რომლებიც მიგვანიშნებს, რომ სასამართლო განხილვაში მონაწილე პირები თანაბარი პატივისცემითა და მათი ინტერესებისადმი თანაბარი ყურადღებით არ სარგებლობენ. მოსამართლეს არ აქვს უფლება, უსაფუძვლო და შეურაცხმყოფელი შენიშვნები გამოთქვას სასამართლო საქმის მხარეთა, ადვოკატების, სასამართლო პროცესის მონაწილეთა, ასევე მოწმეთა მისამართით. მოსამართლის შენიშვნები ყოველთვის ფრთხილი, თავმჯიჭვებული და თავაზიანი უნდა იყოს.²

² იხ. მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები და კომენტარები, თბილისი 2015, გვ. 176, §187-188

სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპის კომენტარების 214-ე მუხლის თანახმად, მოსამართლემ უნდა მოთხოვს გაღიზიანება და რისხვა. იმის მიუხედავად, თუ რა არის განხილვის კონკრეტული საგანი, მოსამართლის რეაქცია მშვიდი და მოზომილი, გაწონასწორებული უნდა იყოს. მაშინაც, თუ ადვოკატის უხეში ქცევა მის პროვოცირებას ისახავს მიზნად, მოსამართლემ სათანადო ზომები უნდა მიიღოს დარბაზზე კონტროლის შესანარჩუნებლად, ადვოკატის მიმართ რაიმე საპასუხო ზომების გარეშე. თუ შენიშვნა აუცილებელია, ზოგჯერ უმჯობესია, ის საქმის განხილვის დროს არ გაკეთდეს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁴¹-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სადისციპლინო კოლეგია უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება: მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის ჩადენაში ბრალეულად ცნობისა და მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობა და სახდელის დაკისრების შესახებ.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁴⁶-ე მუხლის თანახმად, სადისციპლინო კოლეგია იღებს დისციპლინური გადაცდომის ჩადენაში მოსამართლის ბრალეულად ცნობისა და მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობისა და სახდელის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილებას, თუ სადისციპლინო კოლეგიაში დისციპლინური საქმის განხილვის შედეგად ურთიერთშეთავსებად და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობით დადასტურდა აღნიშნული მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული ერთი ან რამდენიმე დისციპლინური გადაცდომის ბრალეული ჩადენა და სადისციპლინო კოლეგიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისთვის ამ კანონის 75³ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ერთ-ერთი დისციპლინური სახდელის დაკისრება.

სადისციპლინო კოლეგია განმარტავს, რომ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებისას თითოეული მოსამართლე მოქმედებს, არა მხოლოდ საკუთარი, არამედ მთლიანად სასამართლო ხელისუფლების სახელით. თითოეული მოსამართლის მიერ განხორციელებული ქმედება ზეგავლენას ახდენს სასამართლო სისტემის პრესტიჟზე, რაც პირდაპირ აისახება სასამართლო ხელისუფლების მიმართ საზოგადოების ნდობაზე. ყველა მოსამართლემ უნდა გააცნობიეროს და გაითვალისწინოს, რომ მოსამართლის მაღალი სტატუსიდან გამომდინარე თითოეული მათგანის საქმიანობა წარმოადგენს საზოგადოების მუდმივი, ლეგიტიმური ინტერესის საგანს. ამიტომ, მოსამართლე უნდა ზრუნავდეს მთლიანად სასამართლო ხელისუფლების პროფესიონალიზმის, სამართლიანობის, მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობისადმი საზოგადოების რწმენის დამკვიდრებასა და ამაღლებაზე. თითოეული მოსამართლე უნდა უფრთხილდებოდეს არა მხოლოდ საკუთარ, როგორც ცალკე აღებული მოსამართლია და პიროვნების ავტორიტეტს და პრესტიჟს, არამედ მთლიანად სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტს.

საქართველს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგია, ასევე, განმარტავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტული საქმის განხილვისას პროცესის მონაწილე მხარეების მხრიდან შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს არაკორექტულ, შეურაცხმყოფელ, პროვოკაციულ, არაეთიკურ ან რაიმე სახის შეუფერებელ ქმედებას მოსამართლის ან სასამართლო ხელისუფლების მიმართ, მოსამართლე, მისი მაღალი

სტატუსიდან გამომდინარე, ვალდებულია, შეინარჩუნოს სიმშვიდე, არ გასცდეს ეთიკის ფარგლებს და იმოქმედოს მხოლოდ და მხოლოდ კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. აღსანიშნავია, რომ მოსამართლეს გააჩნია თმენის მაღალი ვალდებულება, რაც მას უზღუდავს უფლებას მის მიმართ განხორციელებული შესაძლო არაეთიკური ქმედების დროს განახორციელოს ანალოგიური საპასუხო მოქმედება.

2018 წლის 18 იანვარს გამართულ პროცესზე მოსამართლემ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 115-ე მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესის მიუხედავად, მხარის შუამდგომლობის გარეშე შეაჩერა მოწმის დაკითხვა და ადვოკატ ---- მოსთხოვა შემდეგი სახის განმარტება - „იქნებ კავშირი და ბმა ახსნათ? 260-ე მუხლის მე-6 ნაწილით ვიხილავთ საქმეს, თქვენი დაცვის ქვეშ მყოფს ბრალი ედება ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა შენახვაში, ამ განმარტებას მოწმეს უკეთებს სასამართლო და რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, მაშინ როცა ადვოკატი უსვამს კითხვას მოწმეს თუ რა იცის განსახილველ საქმესთან მიმართებაში, ყველა მოწმე იწყებს საუბარს იმაზე, რომ ---- ჰყავდა მეუღლე, იქნებ ახსნათ რა შუაშია ეს ყველაფერი 260-ე მუხლთან მიმართებაში... თქვენ სთხოვთ მოწმეს დაიწყოს თხრობა, ანუ თქვენ წინასწარ გყავდათ დარიგებული მოწმე თუ რაზე უნდა ისაუბროს?“ სადისციპლინო კოლეგიას მიაჩნია, რომ მოსამართლემ ამგვარი მოსაზრებითა და მიმართვის ფორმით გამოხატა აშკარა უკმაყოფილება და უპატივცემულობა პროცესის მონაწილე მხარისადმი. მოსამართლის საპროცესო მდგომარეობა როგორც ნეიტრალური არბიტრისა მდგომარეობს მის მიერ პასიური როლის გამოვლენაში მხარეებმა თანაბრად და დაუბრკოლებლად განახორციელონ თავიანთი საპროცესო უფლებამოვალეობები, ხოლო აქტიური როლი მდგომარეობს იმაში, რომ დაიცვას სხდომის დარბაზში როგორც დამსწრე ისე პროცესის მონაწილე პირთა უფლებები, და კანონისმიერი განმარტებებით უზრუნველყოს მხარეთა მიერ მათზე დაკისრებული საპროცესო მოვალეობების შესრულება.

განსახილველ შემთხვევაში, საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიას მიაჩნია, რომ მოსამართლე ----- მიერ განხორციელებული ქმედებები შეიცავს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹-ე მუხლის მე-8 პუნქტის „ვ,ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ამგვარად საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიამ დისციპლინური სახდელის დაკისრების საკითხის გადაწყვეტისას, გაითვალისწინა მოსამართლის საქმიანი და მორალური რეპუტაცია, მხედველობაში მიიღო დისციპლინური გადაცდომის შინაარსი, შედეგები და მიიჩნია, რომ ----- სასამართლოს მოსამართლე ----- უნდა დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა და სახდელი -შენიშვნა.

ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ დისციპლინური სახდელის დაკისრების მიზანს მოსამართლის დასჯა კი არ წარმოადგენს, არამედ მნიშვნელოვანია მომავალში მოხდეს დისციპლინური გადაცდომის თავიდან აცილება როგორც კონკრეტული მოსამართლის, ისე სხვა მოსამართლეთა მხრიდან.

საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიამ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹-ე მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ბ“ ქვეპუნქტით, 75³-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით, 75⁴¹-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით, 75⁵²-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. ----- სასამართლოს მოსამართლე ----- ცნობილ იქნეს ბრალეულად „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹-ე მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის (მოსამართლის მიერ სხვა მოსამართლის, სასამართლო აპარატის თანამშრომლის ან სასამართლო პროცესის მონაწილის მიმართ აშკარა უპატივცემულობის გამოხატვა) ჩადენისათვის და დაეკისროს დისციპლინური სახდელი - შენიშვნა.
2. საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილების ასლები გადაეგზავნოთ კანონით გათვალისწინებულ უფლებამოსილ პირებს და ორგანოებს.
3. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში, გადაწყვეტილების გადაცემიდან 10 დღის ვადაში საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის მეშვეობით.

თავმჯდომარე

ამირან ძაბუნძე

წევრები:

გიორგი გოგინაშვილი

მერაბ ლომიძე

იოსებ ვარძელაშვილი